

მედიცინის ფაკულტეტის უცხოელ სტუდენტთა კმაყოფილების
კვლევა დისტანციური სწავლების შესახებ

2020 წლის დეკემბერი



თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უცხოელ სტუდენტთა გამოკითხვა დისტანციური სწავლების შესახებ


კვლევის შედეგები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based ¹) მიდგომა, რომელიც გულისხმობს პოპულაციის ყველა წევრისთვის (ამ შემთხვევაში თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე უცხოელი სტუდენტებისათვის, მიმდინარე სემესტრში - 403 სტუდენტი) ელექტრონული ფოსტის მისამართზე ონლაინ კითხვარის გაგზავნას. გამოკითხვის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს შეტყობინების სახით მიუვიდათ. ისინი ნებაყოფლობით ავსებდნენ კითხვარს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 151-მა უცხოელმა სტუდენტმა. გამოკითხვა მიმდინარეობდა 13 დღის განმავლობაში (დაიწყო 19.11.2020 და დასრულდა 01.12.20) კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო. განხორციელდა თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

პოპულაციაზე დაფუძნებული მიდგომა ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროში (მაგ., National Survey of Student Engagement (NSSE); Student Experience in the Research Universities (SERU); the National Student Survey in the UK (NSS) and the Dutch National Student Survey in the Netherlands (NSE))². ამ მიდგომის ძლიერ მხარედ გამოკითხვის დაფარვის ფართო ზონა ითვლება - პოპულაციის ყველა წევრია მიწვეული კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, ამ შემთხვევაში არგამოპასუხების პრობლემას უნდა მიეყვას ყურადღება (Sue & Ritter, 2012). შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ გამოპასუხების დონის მაჩვენებლები, რომელიც მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში ჯამურად **37.4%-ს** შეადგენს.

გამოკითხვაში, როგორც აღვნიშნეთ მონაწილეობა მიიღო მედიცინის ფაკულტეტის 151-მა უცხოელმა სტუდენტმა, საიდანაც 51% მდებრობითი, ხოლო 49% მამრობითი სქესის წარმომადგენელია (იხ. დიაგრამა N1).

დიაგრამა N1




¹ კვლევის მეთოდების ლიტერატურაში გვხვდება შემდეგი სახელწოდებითაც - Saturation Sampling - Sue, V. M., & Ritter, L. A. (2012). Conducting online surveys. Sage.

² Curaj, A., Matei, L., Pricopie, R., Salmi, J., & Scott, P. (Eds.). (2015). The European higher education area: Between critical reflections and future policies. Springer.


კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების უმრავლესობა (45%) ელექტრონული სწავლების პროცესს მიმდინარე სემესტრში დადებითად აფასებს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვაობა სტუდენტების დადებით და ნეიტრალურ (42,4%) დამოკიდებულებას შორის მინიმალურია. რაც შეეხება ელექტრონული სწავლებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, მისი რაოდენობა გამოკითხულ სტუდენტთა 12,6%-ს შეადგენს. დიაგრამა N2:

დიაგრამა N2



დიაგრამა N3-ზე მოცემულია სრუდენტთა პასუხების განაწილება მათი ელექტრონული სწავლების პროცესში ჩართულობის დონის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 84,8% ჩართულია სასწავლო პროცესში, სტუდენტთა 2% კი მასში ჩართვას ვერ ახერხებს.

დიაგრამა N3



რესპოდენტებს, რომლებიც ნაწილობრივ ან საერთოდ არ არიან ჩართული ელექტრონული სწავლების პროცესში, მოეთხოვებოდათ მიზეზის დაკონკრეტება. ცხრილი N2:

ცხრილი N2

დააკონკრეტეთ თუ რატომ არ ხართ ჩართული სრულად ელექტრონულ სასწავლო პროცესში?	%
არ მაქვს კომპიუტერი/სმარტფონი და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა	8.7%
არ მაქვს ინტერნეტი	13%
არ მაქვს სამუშაო სივრცე	39.2%
სხვა	39.1%
ჯამი	100

ელექტრონულ სასწავლო პროცესში სრულად ჩართვის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის პირველ ადგილზეა სამუშაო სივრცის არქონა (39.2%). მეორე, მესამე და მეოთხე ადგილს კი შესაბამისად, სხვა (39.1%), ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები (13%) და ტექნოლოგიური მოწყობილობების არქონა იკავებს. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა მიზეზებში ძირითადად დასახელდა:

- მოუქნელი სასწავლო განრიგი
- პირადი მიზეზები

- ელექტრონული სწავლების შეუფერებლობა მედიცინის ფაკულტეტთან
- მოტივაციის არქონა და სხვა.

შემდეგ მრავალქვეშეკითხვიან კითხვაში მოცემული იყო სხვადასხვა დებულება. სტუდენტებს მოეთხოვებოდათ 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო, 5- „სრულიად ვეთანხმები“- დებულებების შეფასება. რესპოდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი N3

მიმდინარე სემესტრში წინა სემესტრისგან განსხვავებით:	სრულიად არ ვეთანხმები	2	3	4	სრულიად ვეთანხმები	ჯამურად
ზუმით ლექცია შეუფერებლად მიმდინარეობს	9.7%	10.4%	25.7%	28.5%	25.7%	100%
ზუმით სემინარი/სამუშაო ჯგუფში მუშაობა შეუფერებლად მიმდინარეობს	11.2%	16.8%	23.8%	25.8%	22.4%	100%
LMS პორტალი ელექტრონული სწავლების საჭიროებებზე მორგებული გახდა	11.7%	19%	24.1%	24.8%	20.4%	100%
E-learning.tsu.ge პორტალი ელექტრონული სწავლების საჭიროებებზე მორგებული გახდა	8.2%	21.1%	20.3%	25.6%	24.8%	100%
მოწესრიგდა ცხრილები	17%	19.9%	23.4%	22.7%	17%	100%
სწავლების მეთოდები ადაპტირებულია ელექტრონულ	7.8%	20.7%	18.6%	27.9%	25%	100%

სწავლებაზე						
ყველა სასწავლო კურსის მასალა ხელმისაწვდომია E-learning.tsu.ge	17.1%	17.9%	20%	21.4%	23.6%	100%
შეფასების მეთოდები ადაპტირებულია ელექტრონულ სწავლებაზე	10.3%	14.7%	25.7%	22.1%	27.2%	100%
სტუდენტთა ჩართულობა გაზრდილია	19.4%	14.9%	23.1%	22.4%	20.2%	100%
სტუდენტთა ჩართულობა შემცირებულია	25.8%	22.7%	19.5%	17.2%	14.8%	100%
გაიზარდა ლექცია-სემინარებზე დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა	21.2%	11.7%	32.1%	16%	19%	100%
შემცირდა ლექცია-სემინარებზე დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა	26.9%	24.6%	25.4%	10%	13.1%	100%
სხვა	20.5%	13.6%	36.4%	15.9%	13.6%	100%

დებულებების ანალიზისას, 1 და 2 ქულა ჩაითვალა როგორც უარყოფითი დამოკიდებულება, 3 - ნეიტრალური, ხოლო, 4 და 5 - დადებითი დამოკიდებულება.

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზუმით ლექცია შეუფერხებლად მიმდინარეობს (54.2%). ასევე, უმრავლესობის აზრით, LMS და E-learning.tsu.ge პორტალი ელექტრონული სწავლების საჭიროებებზე მორგებული გახდა (45.2% და 50.4%). აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხრილების მოწესრიგების საკითხში დადებითი და უარყოფითი მაჩვენებელი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან (39.7% და 36.9%). რაც შეეხება სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობას, სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ისინი

ხელმისაწვდომია E-learning.tsu.ge-ზე (45%). გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასევე უმრავლესობის აზრით, შეფასების მეთოდები ადაპტირებულია ელექტრონულ სწავლებაზე (49.3%).

კითხვაზე „თქვენი აზრით, ელექტრონული სწავლების პროცესში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა საჭიროებს გაუმჯობესებას“ გამოკითხულ სტუდენტთა პასუხები ცხრილი N4-ის შესაბამისად გადანაწილდა. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი ან/და საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინათ „სხვა“ გრაფაში.

ცხრილი N4

რა საჭიროებს გაუმჯობესებას?	%
ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიები	11.2%
პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრით	9.3%
სწავლების მეთოდები	13.8%
შეფასების მეთოდები	7.4%
კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან	17.4%
კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ პერსონალთან	11.8%
პროფესორ-მასწავლებელთა დროული უკუკავშირი	12.4%
სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები	15%
სხვა	1.7%
ჯამურად	100%

კვლევის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ყველაზე ხშირად დასახელებული 5 დებულება:

- კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან - 17.4%
- სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები - 15%
- სწავლების მეთოდები - 13.8%
- პროფესორ-მასწავლებელთა დროული უკუკავშირი - 12.4%
- კომუნიკაცია პროგრამის აკადემიურ პერსონალთან - 11.8%

აგრეთვე, ღია პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა შემდეგი საჭიროებები:

- საგამოცდო დროის გაზრდა
- შეფასების სისტემის დახვეწა
- მოქნილი გრაფიკი